3415-15-2-2-201903251703

N 15-2/3415
25/03/2019

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს
ბატონ გიორგი გახარიას

წინადადება

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის მიერ მოქალაქე დ[redacted] მ[redacted] გადაადგილების თავისუფლების უფლების უსაფუძვლოდ შეზღუდვის თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო გიორგი,

2018 წლის 22 მაისს საქართველოს სახალხო დამცველს N7766/18 განცხადებით მიმართა მოქალაქე დ[redacted] მ[redacted] (პ/ნ: [redacted]). განმცხადებლის განმარტებით, 2018 წლის 30 მარტს სარფის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე შეაყოვნა საზღვრის დაცვის თანამშრომელმა, შემდეგ კი ტელეფონით გაასაუბრა გამომძიებელთან. განმცხადებელი ასევე განმარტავს, რომ 2018 წლის 31 მარტს გამოიკითხა სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით და მასთან ჩატარდა სხვა საგამოძიებო მოქმედებები. განმცხადებელი ასევე განმარტავს, რომ მას გამომძიებელმა უთხრა, რომ არ გადაეკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი და არ დაეტოვებინა საქართველოს ტერიტორია. თუმცა, განმცხადებლის მტკიცებით, მისთვის გაურკვეველია, თუ რა საფუძვლით აეკრძალა გამომძიებლის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა.

ამასთან, 2018 წლის 27 ივნისის საქართველოს მთავარი პროკურატურის N13/48426 წერილით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს პირველი განყოფილების წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის N010070218001 საქმეზე მოქალაქე დ[redacted] მ[redacted] გამოიკითხა მოწმის სახით. მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა და ასევე, არ დაწესებულა რაიმე სახის შეზღუდვა მისთვის საქართველოს საზღვრის კვეთასთან დაკავშირებით.

2018 წლის 26 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა N15-2/9892 წერილით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას და შემდგომი რეაგირების მიზნით გადაუგზავნა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში არსებული მასალების ასლები.

2018 წლის 24 სექტემბრის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს NMIA 9 18 02327803 წერილით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურე კ[redacted] რ[redacted] მიერ მოქალაქე დ[redacted] მ[redacted] საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შემდეგ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის და საქართველოს დატოვების აკრძალვის ფაქტი არ დასტურდება. ამავე წერილით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ასევე ეცნობა, რომ სამსახურებრივი შემოწმების ფარგლებში გამოკითხული კ[redacted] რ[redacted] განმარტებით, სისხლის სამართლის N010070218001 საქმეზე მოწმის სახით დაბარებულ იქნა დ[redacted] მ[redacted], რომელიც არ ცხადდებოდა საგამოძიებო ორგანოში, რის გამოც ზედამხედველი პროკურორის სიტყვიერი მითითების საფუძველზე იგი საზღვარზე დაყენებულ იქნა ოპერატიულ შეჩერება-შეტყობინებაზე. დ[redacted] მ[redacted] გამოცხადდა საგამოძიებო ორგანოში, სადაც იგი მოწმის სახით იქნა გამოკითხული და შემდგომი კვლევისთვის აღებულ იქნა ნერწყვის ნიმუში, რომელზეც დანიშნულ იქნა ბიოლოგიური ექსპერტიზა.

2018 წლის 03 დეკემბერს და 2019 წლის 22 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა N15-2/14917 და N15-2/794 წერილებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, წარმოედგინათ ინფორმაცია, რომელი ნორმატიული აქტის საფუძველზე მოხდა მოქალაქე დ[redacted] მ[redacted] დაყენება საზღვარზე ოპერატიულ შეჩერება-შეტყობინებაზე სისხლის სამართლის საქმეზე ზედამხედველი პროკურორის სიტყვიერი მითითების საფუძველზე. აღნიშნული წერილების საფუძველზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის რაიმე სახის ინფორმაცია არ მიუწოდებია.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა საქართველოს მოქალაქის მიმართ მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის შესაძლებლობას ითვალისწინებს მხოლოდ პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემდეგ[1] ან იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქე სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე წარადგენს ყალბ ან ძალის არმქონე საბუთებს.[2] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისათვის წარმოდგენილი არ ყოფილა ინფორმაცია, რომ მოქალაქე დ[redacted] მ[redacted] საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთა შეეზღუდა აღნიშნული საფუძვლებით. შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისთვის წარმოდგენილი ინფორმაციით მოქალაქე დ[redacted] მ[redacted] საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთს შეზღუდვის კანონიერი საფუძველის არსებობა არ დასტურდება.

ამასთან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები ვალდებული არიან დაიცვან საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა[3] და ეკრძალებათ წინასწარი შეცნობით, უკანონო ბრძანების ან განკარგულების შესრულება.[4] ხოლო უკანონო ბრძანების/მითითების შესრულება არ ათავისუფლებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელს პასუხისმგებლობისგან, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,შესაძლოა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის მხრიდან ადგილი ჰქონდა საქართველოს მოქალაქის გადაადგილების თავისუფლების უკანონო შეზღუდვას და სისხლის სამართლის N010070218001

---

[1] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 163-ე მუხლი.

[2] საქართველოს კანონის „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“ მე-10 მუხლი.

[3] საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსი, პრეამბულა.

[4] საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსი, მუხლი 2.9.

საქმეზე საპროცესო ხელმძღვანელობის განმახორციელებელი პროკურორის მიერ გაცემული უკანონო სიტყვიერი მითითების შესრულებას.

შესაბამისად, ვინაიდან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის მუშაკის მიერ შესაძლოა ადგილი ჰქონდა მოქალაქე დ[redacted] მ[redacted] (პ/ნ: [redacted]) უფლებების შესაძლო დარღვევას, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ" ქვეპუნქტის თანახმად, მოგმართავთ წინადადებით დაიწყოთ სამსახურებრივი შემოწმება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო არაჯეროვანი შესრულებისა და მოქალაქე დ[redacted] მ[redacted] (პ/ნ: [redacted]) უფლებების შესაძლო დარღვევის თაობაზე და გიგზავნით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში არსებული შესაბამისი მასალების ასლებს.

განხილვის შედეგების შესახებ, გთხოვთ, გვაცნობოთ ამავე კანონით დადგენილ ვადაში.

დანართი: 11 (თერთმეტი) ფურცელი.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი